სქრინინგის ანგარიში (შპს ნერგი)

1. **მოკლე ინფორმაცია პროექტის შესახებ**:

შპს „ნერგი“, ს/კ: 445612891; დირექტორი ნინო დოლიძე (პ.ნ. 61001085676) მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი, მ. აბაშიძის ქუჩა, N48, სართული 1, 26 25 08 276 დაზუსტებული ფართობი: 168000.00 კვ.მ. ლურჯი მოცვის პლანტაცია 16.8 ჰა-ზე.

კომპანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გეგმავს ლურჯი მოცვის ბაღის გაშენებას, რისთვისაც უნდა მოეწყოს სარწყავი სისტემა.

ბაღის გაშენებაში კომპანიამ მიიღო დაფინანსება სოფლის განვითარების სააგენტოდან და ასევე იაფიანი აგრო კრედიტი.
ლურჯი მოცვის პლანტაციის გაშენება-მოწყობისათვის და შემდგომი ექპლოატაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მორწყვის პროცესს, როგორც პლანტაციის განაშენიანებისას ასევე პლანტაციის ექპლოატაციისას, განსაკუთრებით, გვალვის პერიოდში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იგეგმება წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა. მორწყვისათვის საჭირო წყლის აღება მოხდება ჭაბურღილიდან, ბაღში მოყვანილი პროდუქცია რეალიზებული იქნება, როგორც საზღვარგერეთ ასევე ადგილობრივ ბაზარზე. კომპანია ლურჯი მოცვის პლანტაციის მოწყობას გეგმავს კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე: საკადასტრო კოდი: 26.25.08.276 სავარგულის სუფთა ფართობი იქნება 16.8 კვ.მ სადაც დაირგვება 52730 ერთეული ლურჯი მოცვის ნერგი.

პლანტაციის გაშენებისათვის და ექსპლოატაციისათვის განსაკუთრებით წლის გვალვიან პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მორწყვის პროცესს, რომელიც განხორციელდება წვეთოვანი სისიტემის გამოყენებით. რისთვისაც საჭიროა პლანტაციის ტერიტორიის სტაბილურად უზრუნველყოფა საკმარისი სარწყავი წყლის დებეტით, ამისათვის საჭიროა წყლის რეზერვუარის მოწყობა. წყლის რეზერვუარი იქნება 3500 მ/კუბ მოცულობის.

პლანტაციის გაშენების ადგილის კლიმატის, ასევე, ლურჯი მოცვის გაშენება-მოყვანის სპეციფიკის თანახმად, ერთი ერთეული ლურჯი მოცვის ნერგის მოსარწყავად საჭიროა 1 დღეში საშუალოდ 3 ლიტრი წყალი. 52730 ნერგისათვის საჭირო იქნება 158,19 $მ^3$ წყალი, რაც შესაბამისად შეადგენს დღე-ღამეში მაქსიმალურ ხარჯს 158,19 $მ^3$ -ს.

პლანტაციის მორწყვა განხორციელდება გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე. წვიამიანი დღეების გამოკლებით. წლის ჯამში მორწყვის დღეების რაოდენობა შეადგენს სავარაუდოდ 200 დღეს, აქედან გამომდინარე მთლიანი ბაღის მორწყვის პროცესისათვის წლიური საჭირო წყლის რაოდენობა იქნება დაახლოებით 31638 $მ^3$ წყალი.
პლანტაციის მორწყვის წლიური ციკლი დაიწყება მარტის თვიდან და სრულდება ნოემბრის ბოლოს.

2. **პროექტის განხორციელების ადგილი:**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ლაითური;

(დანართი N1 - სიტუაციური გეგმა)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მისი ფართობი შეადგენს 673,97 კმ^2.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, სამხრეთით _ აჭარა-გურიის ქედი, მდინარე ჩოლოქი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა; აღმოსავლეთით ჩოხატაურის, ხოლო ჩრდილოეთით _ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები.

ჰავა ხასიათდება სუბტროპიკული ნოტიო კლიმატით. ნალექების საშუალო წლიური ოდენობა შეადგენს 2100 – 2800 მმ-ს. საშუალო წლიური ტემპერატურა +12 – +14 0C-ია, შესაძლებელი მაქსიმუმი _ +39 0C, ხოლო შესაძლებელი მინიმუმი _ -10 0C. ქარის საშუალო სიჩქარე შეადგენს 3,2 მ/წმ-ს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შედის 4 დაბა და 24 სოფელი. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 59 900 კაცს.

3. **მონაცემები პროექტის განხორციელებლის შესახებ** მოცემულია ცხრილი N1-ში

ობიექტის დასახელება	შპს „ნერგი“,
ობიექტის მისამართი:	
ფაქტობრივი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ლაითური
იურდიული	საქართველო, ქალაქი ბათუმი, მ. აბაშიძის ქუჩა, N48, სართული 1,
საიდენტიფაკციო კოდი	445612891
ობიექტის ხელმძღვანელი:	დირექტორი
გვარი, სახელი	ნინო დოლიძე (პ.ნ. 61001085676)
ტელეფონი:	599430488
ელ-ფოსტა:	Shota776.sm@gmail.com
ეკონომიკური საქმიანობის სახე	სოფლის მეურნეობა
საქმიანობა	ლურჯი მოცვის მოვლა მოყვანა

4. ***ჭაბურღილის კოორდინატები: X-737879, Y-4642492;***

წყალაღების ობიექტის დახასიათება: სარწყავი წყლის აღება განხორციელდება ჭაბურღილიდან, რომელიც მდებარეობს კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე. ჭაბურღილის მოწყობამდე კომპანიამ ჩაატარა **ადგილმდებარეობის ჰიდროგეოლოგიური კვლევა რათა შეექმნა მიწის ქვეშა და ზედაპირული წყლების ჰიდროლოგიური რუკა, დებეტის, სიღმეების და წყლის ვარგისიანობის შესახებ. მოხდა ნაკვეთის მომიჯნავედ მიმდინარე ორი მდინარის წყლის ვარგისიანობის შემოწმება ელექტროგამტარიანობაზე და PH-ზე. ელქტროგამტარიანობის მაჩვენებელი იყო 1-მდე რაც არ არის კარგი ლურჯი მოცვის მოსარწყავად, ხოლო PH არის ნორმაზე დაბალი დაახლოებით 2 -2.5 შუალედში. აღნიშნული ზედაპირული წყალი ასევე არის დაბინძურებული მიკრობიოლოგიურად, რაც ეწინააღმდეგება GLOBALG.A.P. - ის სტანდარტებს. ამის შემდეგ განისაზღვრა ის ლოკაცია**

რომლის დებეტი და სავარაუდო სიღრმე იქნებაოდა ოპტიმალური ჭაბურღილის მოსაწყობად, ჭაბურღლის ამორება მოხდა შემდეგ კოორდინატებზე: X-737879, Y-4642492; როგორც მოსალოდნელი იყო საკმარისი წყლის რაოდენობის ამოსვლა მოხდა 107 მეტრის სიღრმეზე, ასევე მოხდა ფაქტობრივი დებეტის განსაზღვრა, რომელიც ასევე მოსალოდნელ დიაპაზონში აღმოჩნდა და შეადგინა 20 კუბი საათში. მოხდა ასევე წყლის ქიმიური, ბიოლოგიური და რადიაქტიული შედგენილობების კვლევა, რითიც დამტკიცდა მისი ლურჯი მოცვის სარწყავად გამოყენებისთვის შესაბამისობა. წყლის აღება მოხდება ელექტრო ტუმბო SAER (იტალია) წარმადობა 20 კუბ/სთ-ში მოხმარებული დენის სიმძლავრე 15 კვტ./სთ. **აღნიშნულ ჭაბურღილზე გაგზავნილია განცხადება წიაღის ეროვნულ სააგენტოში აუქციონის გამოცხადებასთან დაკავშირებით და ჯერ ჯერობით არ ვფლობთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას. შესაბამისად ვერ გიგზავნით მას. კომპანია რა თქმა უნდა არ აპირებს ლიცენზიის გარეშე აწარმოოს წყლის მოპოვება.**
ჭაბურღილიდან წყლის რეზერვუარამდე X-738112, Y-4642317, რომელიც დაშრებულია **291 მეტრით,** წყლის ნაკადის მიწოდება მოხდება მაგისტრალური 110, 90 და 75 მმ. დიამეტრის მილებით Egeplast, თურქეთი.
წყლის რეზერვუარი, ფერტიგაციის სადგური და ასევე მილსადენის გარკვეული მონაკვეთი მდებარეობს შპს ლურჯი მოცვის ტერიტორიაზე და არის ლურჯი მოცვის საკუთრება, რაზედაც შპს „ლურჯ მოცვსა“, შპს „ნერგსა" და შპს „ჯეობლუბერს“ შორის გაფორმებულია 3500 კუბურ მეტრის ტევადობის რეზერვუარის და ფერტიგაციის სადგურის (რომელთა წარმადობაც თავისუფლად შეესაბამება სამივე შპს-ების წარმადობებს ჯამურად) ერთობლივად სარგებლობის სამმხვრივი ხელშეკრულება, რის მიხედვით შპს ჯეობლუბერი და შპს ნერგი გადაუხდის გარკვეული ოდენობით თანხას შპს ლურჯ მოცვს რეზერვუარის და ფერტიგაციის სარგებლობისთვის და შედგენილი გრაფიკის და თანმიმდევრობის მიხედვით მოხდება ამ ობიექტებით სარგებლობა.

5. სარწყავი სისტემის აღწერა

ჭაბურღილიდან 430 მ-ით იქნება დაშორებული ღია წლის რეზერვუარი X-738112, Y-4642317; 3500 კუბურ მეტრის ტევადობის, ღია რეზერვუარის ბორტები მოეწყობა დატკეპნილი მიწის ჯებირებით რომლის სიმაღლე იქნება 2 მეტრი რეზერვუარის ფსკერიდან, ბორტების გვერდით ჭრილი იქნება ტრაპეციის ფორმის და ქვემოდან იქნება 15 მეტრი და სიმაღლეში დავიწროვდება 5 მეტრამდე. **რეზერვუარის საერთო ფართი იქნება 4900 კვადრატული მეტრი, 70/70 მეტრზე. აღნიშნულ ფართზე 0.4 მ-ზე (1960 კუბური მეტრი) მოხსნილი მიწის ჰუმუსოვანი ფენა იქნა გაფენილი ოთხბორბლიანი ექსკავატორით მომიჯნავე ნაკვეთში ლურჯი მოცვის ტერიტორიაზე.** შექმნილ ლაგუნაში ჩაეფინება ე.წ. ლაინერი, რომელიც არის წყალგაუმტარი და აქვს ექსპლოატაციის ხანგრძლივი პერიოდი. ლაინერის ფუნქციაა არ დაუშვას დატკეპნილი მიწისგან შექმნილი ჯებირებთან რეზერვუარის წყლის უშუალო შეხება, რაც გამოიწვევას ლაგუნის ჩამოშლას. ასევე ლაინერი იცავს დაგროვებულ წყალში მიწის ნაწილაკების შერევას, რაც გააძნელებს წყლის გაფილტვრას. წვეთოვანი მილები რომლებითაც იგეგმება მცენარეების მორწყვა არის აღჭურვილი სპეციალური წნევის კომპენსირებადი მემბრანებით, რომლებიც განლაგებულია 16 და 20 მმ-იან პოლიეთილენის მილში ყოველ 30 სმ დაშორებით.

აღნიშნული მემბრანაში წყალი გაივლის მრავალ ლაბირინთულ გზას სანამ გარეთ საწვეთურიდან გამოწვეთავს, ამ მეთოდით ხდება მაღალი წნევის დაგდება იმისათვის, რომ არ მოხდეს წნევების სხვადასხვაობის გამო საწვეთურებიდან სხვადასხვა რაოდენობის წყლის გამოსვლა, სწორედ ამ მემბრანების გამო უნდა მოხდეს სარწყავი წყლის იდეალური ფილტრაცია, რადგანაც არნიშნულ მემბრანებში მიწის ნაწილაკების მოხვედრის შედეგად ადვილი შესაძლებელია მათი გაჭედვა. ეს რომ არ მოხდეს ამისთვის უნდა იყოს დაფარული მიწის რეზერვუარის ზედაპირი ლაინერით.

წყლის რეზერვუარიდან წყალი გამოედინება შემწოვ სატუმბში X-738074, Y-4642342:

- 16 კვტ./სთ 10 ტონა/სთ წრმადობით 2 ერთეული;

220 მმ-იანი პოლიეთილენის მილით. აღნიშნული სატუმბი მოეწყობა რეზერვუარის ჯებირთან ახლოს. შემწოვი სატუმბიდან წყლის ნაკადი 220 მმ-იანი მილით შევა ფერტიგაციის სადგურში, რომელიც განთავსდება ტუმბოსგან 15 მეტრის დაშორებით, X-738068, Y-4642332; სადაც მოეწყობაწ:

- საფილტრაციო სისტემები: ოთხი ერთეული ქვიშის და ოთხი ერთეული დისკური ფილტრით;
- სასუქების გამხსნელი ოთხი რეზერვუარი;
- სისტემაში სასუქებიანი წყლის შემრევი მოწყობილობები;
- პროგრამული კონტროლერი;

გამოყენებული იქნება წყალში კარგად ხსნადი სასუქები რომელებიც არ შეიცავენ ბალასტს. ოთხი სასუქის გამხსნელი რეზერვუარი არის საჭირო იმისათვის რომ არ მოხდეს სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის სასუქების ერთი და იგივე რეზერვუარში მომზადება მათი შემდგომი შესაძლო ქიმიური რეაქციის თავიდან ასაცილებლად. სასუქების სისტემაში გაშვება მოხდება თანმიმდევრულად ერთი მეორის მიყოლებით, შუალედებში მოხდება სუფთა წყლის გავლება რათა არ მოხდეს ნარჩენი სასუქების ერთმანეთთან შეხება. ჭაბურღილიდან მოცვის ნარგავებამდე წყლის ნაკადის განაწილება მთელი ფართობზე მოხდება:

- **წყლის რეზერვუარიდან მოცვის ნარგავებამდე: მაგისტრალური (მთავარი) მილებით Egeplast, თურქეთი: 200,160,140,125,110,90 მმ. დიამეტრით, ჯამური სიგრძე 999 მეტრი, დამხმარე მილებით Egeplast, თურქეთი 125,110,90,75,63,50 მმ. დიმატრით, ჯამური სიგრძე 1938 მეტრი;**
- **წვეთოვანი მილები 16 მმ. დიამეტრით 69 066 მეტრი;**

მაგისტრალური და დამხმარე მილები ჩალაგებული იქნება 50 სმ სიღრმის ტრანშეაში, <u>**გათხრილი ტრანშეადან ამოღებული მიწის მასა, მას შემდეგ რაც მოხდება მასში ზემოთ აღნიშნული მილების ჩალაგება, იქნება ჩაყრილი ისევ იმ ტრანშეაში საიდანაც მოხდა მისი ამოღება. ჩაყრის მეთოდი განისაზღვრა შემდეგნაირად: ამოთხრილი მიწის ზედა ფენა (30 სმ) ე.წ. ჰუმუსოვანი ფენა დაიყრება განცალკევებით ქვედა ფენისგან. ტრანშეაში მილის ჩადების შემდეგ ჩაიყრება ჯერ ქვედა ფენა, ხოლო ზემოთ დაეყრება ამოთხრისას (30ს სმ) დან ამოღებული მიწის ფენა - ჰუმუსი.**</u> ხოლო წვეთოვანი მილები, რომელთა მაქსიმალური

სიგრძეა 140 მ., ხოლო მინიმალური სიგრძე 10 მეტრი. ჩატანებული იქნება ე.წ. ბაზოკვლებში, ბაზოკვალი წარმოადგენს 40-45 სმ-ის შემაღლებულ ნოყიერი ნიადაგისგან შემდგარ მიწაყრილს, რომლის ძირის მაქსიმალური სიგანე არის 1 მეტრი და რომელზეც გადაფარებულია პოლიეთილენის ფირი ე.წ. აგროქსოვილი წყლის აორთქლების შესამცირებლად. წვეთოვანი მილები არის კომპენსირებადი, რაც იმას ნიშნავს რომ ყველა საწვეთურიდან წვეთავს ერთნაირი რაოდენობის წყალი, რათა არ მოხდეს მცენარეების სხვადასხვა დოზით მორწყვა. **სამელიორაციო და ირიგაციის სისტემების მოწყობის პროცესში გამოყენებული იქნა JCB მარკის ოთხბორბლიანი ექსკავატორი, რომლის სამუშაოთა დღეებმა ჯამში შეადგინა 32 დღე.**

6. საქმიანობისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსები

დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესისათვის ერთ-ერთ აუცილებელ რესურსს წარმოადგენს წყალი, რომლსაც ავიღებთ ჩვენი ნაკვეთზე არსებული ჭაბურღილიდან X-737879, Y-4642492; ზრდასრული ნერგის შემთხვევაში დღე-ღამეში მორწყვისთვის, მთელს ფართობზე წყლის მაქსიმალურ რაოდენობად განისაზღვრა 158,19 $მ^3$ -ს. წყალი.

7. დაშორება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან: 500 მ

8. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა:

წვეთოვანი სარწყავი ქსელის მეშვეობით მცენარეებს დროულად მიეწოდება საჭირო რაოდენობის წყალი, რომელსაც მცენარე ვერ იღებს ნალექებით. წვეთოვანი მორწყვის სისტემის გამოყენებისას, წყალი მცენარეებს მიეწოდება ფესვებთან ახლოს, წვეთების სახით სპეციალურად გაყვანილი მრავალჯერადი გამოყენების პოლიმერული მილებით.

მუნიციპალიტეტის კლიმატური პირობების, კერძოდ კი იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, ნოლის ტოლია, სარწყავი სისტემის მოსაწყობად ღრმა ტრანშეების გაყვანა საჭირო არ იქნება.

9. საქმიანობისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსები

დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესისათვის ერთ-ერთ აუცილებელ რესურსს წარმოადგენს წყალი, რომლსაც ამოვიღებთ ჭაბურღილიდან, ზრდასრული ნერგის შემთხვევაში დღე-ღამეში მორწყვისთვის წყლის მაქსიმალურ რაოდენობად განისაზღვრა 158,19 $მ^3$ -ს.წყალი.

თვე	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	ჯამი
ჭაბურღილიდან ამოსაღები წყლის რაოდენობა მ. კუბ	1581.9	1581.9	3163.8	6327.6	6327.6	6327.6	3163.8	1581.9	1581.9	31638

გამოსაყენებელი წყლის მოცულობა: - წლიური ჯამი შეადგენს 31638 კუბურ მეტრს.

10. ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე - ნიადაგის დაცვის კუთხით, წარმოქმნილი საქმიანობის შედეგად არ არსებობს რისკფაქტორები, ვინაიდან სარწყავი სისტემის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული მიწის სამუშაოებთან, რის გამოც ზემოქმედება მიწის რესურსებზე (მიწის ნაყოფიერი ფენის გაუვარგისება-დეგრადირება) არ არის მოსალოდნელი.

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სხვა ბუნებრივი რესურსის გამოყენება არ იგეგმება. საქმიანობის პროცესში გამოყენებული წყლების ჩაშვება წყალსატევებში არ იგეგმება. ფერტიგაციის პროცესის წარმართვის დროს გახარჯული სასუქების და პესტიციდების ტარის შენახვა მოხდება სპეციალურ სახიფათო ნარჩენების საწყობში და გარკვეული რაოდენობის დაგროვების შემდეგ მოხდება ლიცენზირებული კომპანიის დაქირავება და მისთვის გადაცემა აღნიშნული ნარჩენების, ხოლო ფერტიგაციის რეზერვუარების გამონარეცხი წყალი ისევ გაეშვება წვეთოვან სისტემაში. გამოყენებული ელექტრო ტუმბოს მცირე სიმძლავრის გამო, რაც შეადგენს 16 კვტ. არ არსებობს გარემოზე ვიბრაციით და ხმაურით ზემოქმედების საფრთხე მითუმეტეს რომ, ჭაბურღლის წყლის ტუმბო არის ჩადებილი წყალში და მისი მუშაობისას ხმაური საერთოდ არ გამოვა.

საპროექტო ტერიტორია უახლოესი მოსახლე პუნქტიდან 500 მ დაშორებით მდებარეობს. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსახლეობაზე რაიმე სახის ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. ასევე არ ექნება ადგილი საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევებს.

11. **ფლორა და ფაუნა** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი მცენარეულობა უმთავრესად შეცვლილია კულტურული მცენარეულობით, რადგანაც ტერიტორიის დიდი ნაწილი ანთროპოგენური გავლენის ქვეშ არის. შესაბამისად ველურ ბუნებაზე ზემოქმედებაც დიდია. უნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1000-ზე მეტი სახეობის მცენარეა. ტყეს უკავია 17 021 ჰექტარი (მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორიის 25,21 %). სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი შემოსილია მთის ტყეებით და მთის მდელოებით. ზღვისპირა დიუნებზე ქვიშნარების მცენარეულობაა. დაჭაობებულ დაბლობებზე ადრე გავრცელებული იყო ჭაობის ტყეები, ხოლო შედარებით დრენირებულ ადგილებში — ლეშამბოიანი მურყნარ-ლაფნარი. გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთი წინათ შემოსილი იყო მარადმწვანე ბუჩქნარიანი კოლხური ტყეებით. ამჟამად ბარში ტყეები თითქმის მთლიანად გაჩეხილია, მის ადგილას კულტურული მცენარეები, ნაწილობრივ, მეორადი ტყეებია. მცენარეულ საფარს ქმნიან წაბლი, რცხილა, თხმელა, ქვეტყის სახით გვხვდება მოცვი, შქერი, წყავი. ბუნებრივი ტყეები შემორჩენილია მუნიციპალიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთ მაღალმიან მხარეში. მთის ტყის ზონაში ქვემოთ გაბატონებულია წიფლნარი. ზღვის დონიდან 700-1700 მეტრზე არის ფოთლოვანი ტყე (მურყანი, რცხილა, წიფელი). 1700-2100 მეტრზე ზემოთ გაბატონებულია წიფლნარ-მუქწიწვიანები (წიფელი, ნაძვი, სოჭი). ალაგ-ალაგ ნაძვისა და სოჭის წმინდა კორომებია. ტყის ზონის ზემოთ სუბალპური ტყეების ვიწრო ზოლია, სადაც გვხვდება პონტოური მუხა, შემდეგ — სუბალპური და ალპური მდელოები, რომლებიც სათიბ-საძოვრებადაა გამოყენებული.

12. **დაგეგმილი საქმიანობის ფაუნისტური დახასიათება** - ოზურგეთის რაიონის რაიონის ტერიტორია ხასიათდება ფაუნის მრავლფეროვნებით. აქ წარმოდგერნილი ცხოველთა სამყაროდან აღსანიშნავია კოლხური თხუნელა, პონტური ზღარბი, ჩვეულებრივი ღამურა, კავკასიური ციყვი, კავკასიური მურა დათვი, ამიერკავკასიური მთის მელა, კავკასიური მგელი, ტურა, კავკასიური ტყის კატა, კავკასიური ფოცხვერი, კავკასიური თეთრყელა კვერნა, მაჩვი, ევროპული შველი, არჩვი. დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორია წარმოადგენს სასოფლო-სამეურენო დანიშნულების მიწის ფართობს, რომელიც ათეულობით წელია გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულად.

პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მრავალწლიანი ხე-მცენარეების ჭრას. ტერიტორიაზე წარმოდგენილია ერთეული ბუჩქოვანი მცენარეები და დეგრადირებული ბალახოვანი საფარი. მათგან არცერთი არ წარმოადგენს საკონსერვაციო თუ რაიმე სხვა სახის ღირებულ სახეობას. ბუჩქოვანი მცენარეები განთავსებულია მიწის ნაკვეთის საზღვარზე და ცოცხალ ღობეს ქმნის. დაგეგმილი საქმიანობისას მათი მოჭრა არ იგეგმება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შესაბამისად, ამ მხრივ ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც უმნიშვნელო. იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიები ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებით, ცხოველთა ველური ბუნების სახეობების საბინადრო ჰაბიტატები პრაქტიკულად არ არსებობს შესაბამისად ამ ტერიტორიაზე ბუნებრივად მზარდი და მცხოვრები ცოცხალი ორგანიზმები არ ფიქსირდება

13. **ნარჩენების მართვა** საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები ეს იქნება გამოყენებული სასუქების და ქიმიკატების ტარა, რომლებიც დაგროვდება სპეციალურ სახიფათო ნარჩენების საწყობში და გარკვეული რაოდენობის მიღწევის შემდეგ, მოხდება ნარჩენების უტილიზაციის ლიცენზირებული კომპანიის დაქირავება და მათზე გადაცემა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა კი მოხდება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

14. **ჩამდინარე წყლები** - საწარმოს საქმიანობის პროცესში არ არის მოსალოდნელი ჩამდინარე წყლების წარმოქმნა, შესაბამისად გამოყენებული წყლების(ჩამდინარე წყლების) ჩაშვება წყლის ობიექტებში არ იგეგმება.

15. **ხმაური და ვიბრაცია** - დაგეგმილი საქმიანობისას გამოყენებული ელექტრო ტუმბოს მცირე სიმძლავრის გამო არ არსებობს გარემოზე ვიბრაციით და ხმაურით ზემოქმედების საფრთხე, ხოლო ჭაბურღილის ტუმბოები არის ჩადებილი მთლიანად წყალში და ხმაური საერთოდ არ გამოდის.

16. **მიმდებარე რეციპიენტებზე ზემოქმედება** - პლანტაციიდან უახლოესი მოსახლის სახლი 500 მ-ში მდებარეობს, რის გამოც საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსახლეობაზე რაიმე სახის ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. ასევე არ ექნება ადგილი საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევებს.

17. **ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე** - რეგიონი მდიდარია კულტურული, ისტორიული ღირსშესანიშნაობებით. რეგიონში მრავლადაა ეკლესია-მონასტრები, არამატერიალური კულტურული ძეგლები. გარდა ამისა რეგიონი არ წარმოადგენს ტურისტულად დატვირთულ რეგიონს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები პლანტაციის ტერიტორიის ზონაში და მის სიახლოვეს 1კმ-ში არ ხვდება, რაც გამორიცხავს ისტორიულ-კულტურულ გარემოზე ზეგავლენას.

საქმიანობის პროცესში მომსახურე პერსონალის და სხვა ადამიანებზე, მათ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. პლანტაციის არსებობა დადებითად აისახება სოფლის სოციალურ გარემოზე რადგან გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას. გარდა ამისა, ახლად გაშენებული ბაღი დადებითად იმოქმედებს ეკოსისტემის გაჯანსაღებაზე.

მოცვის პლანტაციის უფლებამოსილი პირი ადასტურებს სქრინინგში არსებული ინფორმაციის

სისწორეს :

დირექტორი ნანა ბიწაძე _____



პირობითი აღნიშვნები

- ნაკვეთის საკადასტრო წითელი ხაზი
- საავტომობილო გზა
- მდინარ
- ხიდი

მ. 1:20 000

WGS 84 / UTM zone 37N

0 600 1200 მეტრი

წყალაღების წერტილიდან საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის დერეფნის
სიტუაციური რუკა



	მთავარი მილი	999	მეტრი
	დამხმარე მილი	1938	მეტრი

მასშტაბი 1:6254

დირექტორი ნინო დოლიძე _____

599430488
19/09/2023